

საქართველოს კანონი

ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რაც დამახასიათებელია ოჯახური ძალადობისათვის, ოჯახური ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

- ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ფასეულობების (ღირებულებების) დაცვის მყარი საკანონმდებლო გარანტიები;
- ბ) ხელი შეუწყოს ოჯახის განვითარებას, მის წევრთა პარამონიულ თანაცხოვრებას;
- გ) შექმნას ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახური ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის;
- დ) უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
- ე) შექმნას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები;
- ვ) უზრუნველყოს სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება ოჯახური ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

მუხლი 3. ოჯახური ძალადობა

ოჯახური ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქიკური, სექსუალური ძალადობით, იძულებით, ან იგივე ქმედების შუქართ, აგრეთვე ოჯახის არასრულწლოვანი წევრის თავისუფალი განვითარების შეზღუდვით.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა ან სხვა ისეთი მოქმედება რაც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, აგრეთვე არასრულწლოვანის მშობლებისაგან (მეურვისაგან) იზოლირება, ან მისი ჯანმრთელობის

მდგომარეობასთან დაკავშირებული იმ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც გამოიწვევს მისი ჯანმრთელობის დაზიანებას, სიკვდილს.

ბ) ფსიქიკური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

გ) იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

დ) სექსუალური ძალადობა - ქმედება, რომელიც არღვევს პიროვნების სქესობრივ თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, აგრეთვე სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ე) ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ვ) მსხვერპლი - ოჯახის წევრი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიაღება ოჯახური ძალადობის შედეგად.

ზ) ოჯახის წევრები - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები. ამ კანონის მიზნებისათვის ოჯახის წევრი ასევე გულისხმობს ყოფილ მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში ან კავშირში მყოფი პირებს, მეურვეს, აგრეთვე, პირებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ, ანდა საერთო საკუთრებაში აქვთ უძრავი ქონება.

თ) მოძალადე - ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახური ძალადობის ფაქტის შედეგად მორალურ, ფიზიკურ და ქონებრივი ზიანს აყენებს ოჯახის სხვა წევრს.

მუხლი 5. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

თავი II.

ოჯახური ძალადობის პროფილაქტიკა და პრევენცია

მუხლი 6. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმები

1. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და წინაპირობების

თავიდან აცილების, ოჯახური ძალადობის ფაქტების აღკვეთის, მოძალადის სამართლებრივი დევნისა და მსხვერპლისა და მოძალადის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისათვის.

2. სახელმწიფო თავისი უფლებდებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმების დანერგვასა და გატარებას.

3. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმები გულისხმობს:

ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენენ და შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

ბ) ეფექტური სამართლებრივი მეოთხედის დანერგვას ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოსაეღვნად და აღსაკვეთად;

გ) მოძალადის მიმართ ეფექტური სამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარებას;

დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახური ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნება ან რომლებსაც ჩადენილი აქვთ ოჯახური ძალადობა;

ე) ქალთა და ბავშვთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, საზოგადოებასა თუ ოჯახში ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმების დანერგვას;

ვ) დასაქმებისა და შრომითი მოწყობის საკითხების სწორად ორგანიზებისათვის აუცილებელი სამართლებრივ-ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინფორმაციის ზრდისა და ცნობიერების ამაღლებისათვის სათანადო საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, მათი დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის იმ უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებას;

თ) ინფორმაციის გაერცელებასა და ხელმისაწვდომობას ოჯახური ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ;

ი) სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზებას ოჯახური ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის შესახებ;

კ) ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას ოჯახური ძალადობის პროფილაქტიკის უზრუნველსაყოფად;

ლ) ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური პროგრამების შექმნას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროული, ეფექტური და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები

1. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციისა და ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლების სამინისტრო, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები.

2. ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თანამშრომლობენ ოჯახური ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფენ შესაბამისი ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და რეალიზაციას.

მუხლი 8. სოციალური დახმარების სამსახური

1. სოციალური დახმარების სამსახური წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედ სამსახურს, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ოჯახური ძალადობის პრევენციისა და პროფილაქტიკის მექანიზმების განხორციელებას.

2. სოციალური დახმარების სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება:

ა) ოჯახური ფასეულობების დაცვაზე ზრუნვის, ოჯახის წევრების ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანადგომის ხელშეწყობა;

ბ) ოჯახური დავების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, ანალიზი და დავების დაძლევაში ოჯახის წევრთა დახმარება;

გ) ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება;

დ) სოციალური პარტნიორობის სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ე) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ოჯახური ძალადობის ჩამდუნ პირთა რისკ-ჯგუფების გამოვლენა და პრობლემების დაძლევაში ხელშეწყობა;

ვ) ოჯახური დავების შემთხვევაში ოჯახის წევრებს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულება;

ზ) კანონით დადგენილი წესით, დამცავი და შემაკავებელი ორდერის გაცემის პროცესში მონაწილეობა;

თ) დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგი;

ი) მოძალადეთა და მსხვერპლთათვის დახმარებისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზების ხელშეწყობა;

კ) მოძალადეთა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის ღონისძიებების მონიტორინგი;

ლ) ოჯახური ძალადობის საკითხებზე სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზება და ჩატარების ხელშეწყობა.

თავი III

ოჯახური ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

მუხლი 9. ოჯახური ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

1. ოჯახური ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები.

2. სისხლის სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახური ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

3. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახური ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება მცირე საზოგადოებრივი საშიშროების მქონე იმ ქმედების შემთხვევაში, რომელიც არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და რომლის აღკვეთაც შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

მუხლი 10. დამცავი და შემაკავებელი ორდერი

1. ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მექანიზმების სრულად გატარებამდე, უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირი მიერ მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემული იქნეს დამცავი და შემაკავებელი ორდერი.

2. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

3. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება სასამართლოს დასამტკიცებლად.

4. მოძალადის მიერ დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 11. დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან პირს რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მუხლი 12. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა

1. დამცავი ორდერი გამოიცემა 3 თვემდე ვადით და მისი მოქმედების ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

2. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხს განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია როგორც ორდერის მოქმედების პერიოდში, ისე მისი ვადის ამოწურვის შემდეგაც, თუკი არსებობს საფრთხე მსხვერპლის, ოჯახის წევრის ან იმ პირის მიმართ, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

3. დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას მოსამართლის სათანადო გადაწყვეტილებით სასამართლოსადმი მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

მუხლი 13. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით. დამცავი ორდერის გაცემის საკითხები განიხილება ოჯახური დავებისა და ოჯახური ძალადობის საკითხების განმხილველი სპეციალიზებული მოსამართლის მიერ.

2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე უნდა იყოს წერილობითი სახით და იგი უნდა შეიცავდეს განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, ოჯახური ძალადობის ფაქტის აღწერას, ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ, მტკიცებულებათა ჩამონათვალს, თხოვნას დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განცხადებას ხელს უნდა

აწერდეს მსხვერპლი ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირი.

3. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე განუმარტავს განმცხადებელს შეგნებულად ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ართმევს ხელწერილს, იძახებს და აცნობს განცხადებას იმ პირს, რომლის მიმართაც ის არის შეტანილი და სთხოვს მას დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება უფლებამოსილია წერილობით გასცეს პასუხი განცხადებაში მითითებულ საკითხებზე და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან სამი დღის ვადაში.

4. სასამართლო (მოსამართლე) 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გაცემის, დამცავი ორდერის გაუქმების, დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების ან დამცავი ორდერის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

5. დამცავი ორდერი გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება, იმავე ინსტანციის სასამართლოში 3 დღის ვადაში, ხოლო მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. დამცავი ორდერის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გაცემული დამცავი ორდერის მოქმედებას.

6. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

7. დამცავი ორდერის გაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა სასამართლოში ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 14. შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი

1. ოჯახური ძალადობის ფაქტის უშუალოდ დაფიქსირებისთანავე პოლიციის წარმომადგენელი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ გასცეს შემაკავებელი ორდერი, რომელსაც გამოცემიდან 12 საათის განმავლობაში წარუდგენს პროკურორს. პროკურორი მომდევნო 12 საათის განმავლობაში შემაკავებელ ორდერს წარუდგენს სასამართლოს. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში იხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი გარკვეული ვადით ძალაში დატოვების ან მისი მოქმედების გაუქმების ან ახალი დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ.

2. პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების დროს

მხარეთა შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემას, ან არ იწვევს გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების გაუქმებას, თუ ოჯახური ძალადობის ფაქტი ღიახავეს ოჯახის სხვა წევრთა, განსაკუთრებით ბავშვის ინტერესებს.

მუხლი 16. დამცავი და შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები

1. დამცავი და შემაკავებელი ორდერი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით. იგი შეიძლება დაიწეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური

საშუალებების გამოყენებით. დამცავ და შემაკავებელ ორდერს ხელს აწერს და ბეჭდით ამოწმებს მისი გაცემის უფლების მქონე პირი.

2. დამცავ და შემაკავებელ ორდერში მიეთითება მისი გამოცემის თარიღი და ადგილი, ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო დამცავი ორდერის გამოცემას, მოძალადის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, ამ მუხლის შესაძენე პუნქტით გათვალისწინებული იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რაც ეკრძალება მოძალადეს. ორდერი უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

3. დამცავი და შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული, აგრეთვე დახმარების აღმომჩენი პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა შესაკუთრება თუ არა იგი აღნიშნული ქონების;

გ) მოძალადის ვალდებულებას არ შეზღუდოს მსხვერპლი ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომობილით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

დ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ე) მოძალადის ბავშვებთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ვ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოების საკითხებს, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

ზ) მოძალადისათვის იარაღის, მათ შორის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის, სარგებლობის უფლების შეზღუდვას, ასევე იარაღის შექენის უფლების აკრძალვას ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში;

თ) მოძალადისათვის მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

ი) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს.

კ) სხვა იმ საკითხებს, რომელიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

4. გამოცემულ ორდერში შესაძლებელია მიეთითოს ამ მუხლის შესაძენე პუნქტში გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთი ან ყველა ერთად, ძალადობის ფაქტის ადგენატურობის გათვალისწინებით.

5. დამცავი და შემაკავებელი ორდერი მზადდება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ხელმოწერით ბარდება მოძალადეს, ერთი - მსხვერპლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ პირს.

6. დამცავი და შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე.

თავი IV.

ოჯახური ძალადობისაგან არასრულწლოვნის დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები

მუხლი 17. ბავშვის განცალკევება მოძალადე ოჯახისაგან

1. ერთ-ერთი მშობლის ან უშუალოდ ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობის კვალის არსებობა უპირობო საფუძველია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაისვას მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან) ბავშვის განცალკევების საკითხი. უფლებამოსილი ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით, ორდერით არეგულირებს მოძალადე მშობლისაგან ბავშვის განცალკევების საკითხს.

2. ოჯახური ძალადობის სხვა ფორმების არსებობისას, ერთ-ერთი მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განიხილება ბავშვთან მშობლების ურთიერთობის საკითხი.

3. ბავშვზე წარმომადგენლის უფლების საკითხის განიხილისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ბავშვზე წარმომადგენლის უფლების დატოვება მოძალადე მშობლისათვის საზიანოა ბავშვის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის ბავშვზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს ბავშვის მიმართ ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი ერთ-ერთი მშობლის მხრიდან.

4. ოჯახში ძალადობისას, მათ შორის ბავშვის მიმართ ძალადობისას, როცა სასამართლოსადმი მიმართვა არ ხდება მშობლის მიერ, ამ უფლების განხორციელება შეუძლია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მუხლი 18. ბავშვის მოტაცების თავიდან აცილებისა და სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უადებს. მშობელს ბავშვის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა.

2. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების უფლება. თუ აღნიშნული შეზღუდვა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მშობელს, რომლის უფლებაც იზღუდება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბავშვის მონახულების პირობების შეცვლის მოთხოვნით.

3. მოძალადის მიერ ბავშვის მოტაცების ან სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას, სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს ბავშვის მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე.

მუხლი 19. უსაფრთხოების ზომები და პირთა წრე, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის მონახულების პირობების დაცვაზე

სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ბავშვის მონახულების ადგილი, დრო, პერიოდულობა, ხანგრძლივობა და პირი (პირები), რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე.

თავი V.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოების თავისებურებანი

მუხლი 20. პოლიციის მოვალეობები

1. პოლიცია ვალდებულია ოჯახური ძალადობის ფაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. *პოლიციას არა აქვს უფლება ოჯახური ძალადობის შემთხვევა მიიჩნიოს ნაკლებმნიშვნელოვანად ძალადობის სხვა შემთხვევებთან (გამოვლინებებთან) შედარებით.*

2. ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა.

3. ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:
- ა) მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახური ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;
 - ბ) განცალკევებულად გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმეები, მოძალადე, მათ შორის ბავშვებიც, რაც წერილობით უნდა დააფიქსიროს;
 - გ) მიაწოდოს ინფორმაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლს მისი უფლებების შესახებ;
 - დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
 - ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და ბავშვების გადაყვანა თავშესაფარში;
 - ვ) უზრუნველყოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ნივთების წამოღება მსხვერპლის სხვა ადგილას გადაყვანის შემთხვევაში;
 - ზ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, ეინც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;
 - თ) უზრუნველყოს მოძალადის მოცილება საცხოვრებელი ადგილიდან, ხოლო თუ ეს შეუძლებელია ან მსხვერპლი იმყოფება ძალადობის რეალური საფრთხის წინაშე, მიიღოს ზომები მოძალადის დროულად დასაკავებლად;
 - ი) ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.
4. პოლიცია ოჯახური ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს.
5. პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშებში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახური ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ.

თავი VI.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები, მოძალადეთა რეაბილიტაციის ღონისძიებები

მუხლი 21. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლები (თავშესაფარი)

1. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (ტექსტში შემდგომ - თავშესაფარი) წარმოადგენს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა რეაბილიტაციის ღონისძიებებს. თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.
2. თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.
3. თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება წესდების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს თავშესაფარში მსხვერპლის განთავსებისა და მისი რეაბილიტაციის წესს.

მუხლი 22. მსხვერპლის მოთავსება თავშესაფარებში

1. ოჯახური ძალადობის ფაქტის არსებობისას, მსხვერპლის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში.
2. არასრულწლოვნის თავშესაფარში მოთავსების მოთხოვნით სამართალდამცავ ორგანოებს შეიძლება მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმაც.

3. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 2 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში თავშესაფარში ყოფნის ვადა გაგრძელდება თავშესაფრის საქმიანობის მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც თავად მსხვერპლს არ სურს ამ პერიოდზე მეტი დროით დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში თავშესაფარის ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნულის თაობაზე შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

4. ოჯახური ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში მსხვერპლს უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იგივე თანამდებობისა და სარგოს ოდენობით თუ საფრთხე ემუქრება მის უსაფრთხო გადაადგილებას ან ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია სამსახურში გამოცხადება.

მუხლი 23. ინფორმაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლის შესახებ

მსხვერპლის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 24. მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები

მოძალადეთა დროებითი განთავსებისა და მისი რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები უნდა აკმაყოფილებს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს და უნდა უზრუნველყოფდეს მოძალადის დროებით განთავსებას, მის ფსიქოლოგიურ დახმარებასა და მკურნალობას.

თავი VII.

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 25. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამ კანონის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განსაზღვროს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლებისა (თავშესაფრებისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამ კანონის გამოქვეყნებიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს სოციალური სამსახური სტატუსის განსაზღვრა და ამ სამსახურის შექმნისათვის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტაციული ღონისძიებების განხორციელება.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ოჯახური დევებისა და ოჯახური ძალადობის საკითხების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლის განსაზღვრისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან ერთ თვის ვადაში უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერის გაცემის უფლების მქონე პოლიციის თანამშრომელთა ნუსხის დამტკიცება.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს ამ კანონის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში დაამტკიცოს სპეციალური გეგმა, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებები.

მუხლი 26. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 25-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
2. ამ კანონის 25-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი